DisboTHAN 446
1K-PU-Versiegelung

გამჭირვალე, ელასტიური, ტენიანობის პირობებში გამყარების უნარით, 1 კომპონენტიანი პოლეურეთანის დამასრულებელი დანაფარი, გარე სამუშაოებისთვის. შეიცავს გამხსნელებს.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ცვეთისადმი წინაღობის შემქმნელი დამასრულებელი დანაფარი (გლუვი ან მოცურების საწინააღმდეგო/ფაქტურიანი), გარე სივრცეებში, პროდუქტების: DisboPUR 305, DisboTHAN 449, Disbon 400, Disbon 404 ELF.-ის ფერად/დეკორატიულ დანაფარებზე დასატანად.

თვისებები

- ბზარების დაფარვის უნარი
- ძალიან კარგი ადჰეზიის უნარი
- ტენიანობის მიმართ ხანგრძლივად მედეგი
- ატმოსფერული მოვლენებისადმი და ულტრაიისფერი (UV) სხივებისადმი მედეგი

მასალის შემკვრელი

1 კომპონენტიანი პოლიურეთანი, ტენიანობის პირობებში გამყარების უნარით. შეიცავს გამხსნელებს.

შეფუთვის ზომები

1 კგ. ლითონის კონტეინერი, 6 კგ, 12 კგ. ლითონის სათლი.

ფერი

გამჭირვალე

ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები) , ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე.

სიპრიალის ხარისხი

პრიალა

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 6 თვეა. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,05 გ/სმ3
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 68 µm/100 გ/მ2
- სიხისტე "შორი"-ის მიხედვით (A/D): 90/30 - DIN 53505-ის მიხედვით
- ფარდობითი წაგრძელება გაწყვეტისას: დაახლ. 240 % DIN EN ISO 527-ის მიხედვით

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ფერადი, ფაქტურიანი, შემდეგი პროდუქტების: DisboPUR 305, DisboTHAN 449, Disbon 400, Disbon 404 ELF.-ის დანაფარები. ზედაპირები უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან.

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა მომზადდეს განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. რეაქტიული ფისოვანი დანაფარები დაამუშავეთ 24 საათის განმავლობაში, ან მქრქალად დააზუმფარეთ ზედაპირი. ახალ დისპერსიულ დანაფარებზე მასალის დატანა, მინიმუმ 2 დღის შემდეგ არის შესაძლებელი. უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის დრო იზრდება.

მასალის მომზადება

მასალა მზად არის გამოსაყენებლად. დამუშავებამდე კარგად აურიეთ. მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო დანაფარებისათვის - შეიძლება მასალის გაზავება პროდუქტით: DisboADD 499 Verdünner (მაქს. 6 %). სხვა გამათხელებლების გამოყენების შემთხვევაში, ზედაპირზე წარმოიქმნება გამოუსწორებელი წებოვანი ლაქები. სრულად მოიხმარეთ/დაამუშავეთ მასალა კონტეინერში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მასალის გამყარება და შესქელება. გამათხელებლით გაზავებული, გამყარებული და შექელებული მასალა უვარგისია შემდგომი გამოყენებისთვის.

დატანის მეთოდები

გლუვი დანაფარებისთვის, დაიტანეთ თხელი ფენა DisboTHAN 446-ი დაბალ ბეწვიანი, გამხსნელების მიმართ მედეგი გორგოლაჭით. მოცურების საწინააღმდეგო დანაფარებისთვის გაურიეთ მასალა პროდუქტებთან: DisboADD 947 Glasperlen, rough და DisboADD 499-თან და დაიტანეთ ზედაპირზე პოლიეთინელის საგლუვი ქაფჩით. სამუშაოებს შორის ხანგრძლივი შესვენებებისას, დროდადრო მოურიეთ მასალა. დასრულებისას ზედაპირს გადაატარეთ უხეში მოლტოპრენის გორგოლაჭი (ფორების დიამეტრი: 5 მმ) - ჯვარედინი სვლით.

დაფარვის სტრუქტურა

დაფარვის სრტუქტურა - Disbon ColorQuarz-System (ექსტერიერი) და Disbon MultiColor-System (ექსტერიერი) სისტემებისთვის - იხილეთ შესაბამისი სისტემის მონაცემთა ფურცელი.

დაიტანეთ მასალა გაუზავებლად (გლუვ ზედაპირზე), ან პროდუქტებით: DisboADD 947 Glasperlen Rough და DisboADD 499 Verdünner-ით გაზავებული (მოცურებისადმი მედეგი ზედაპირი).

ხარჯი

დამასრულებელი დანაფარი პროდუქტებისთვის: DisboPUR 305, DisboTHAN 449, Disbon 400, Disbon 404 ELF.	
გლუვი ზედაპირი	დაახლ. 150 გ/მ2
მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი(R 10) DisboTHAN 446 1K-PU-Versiegelung DisboADD 947 Glasperlen, rough (დაახლ. 10%) DisboADD 499 Verdünner (დაახლ. 6%)	 დაახლ. 150 გ/მ2 დაახლ. 15 გ/მ2 დაახლ. 9 მლ/მ2

ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 5 ° C, მაქსიმალური - 30 ° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა იყოს 35%-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს.
ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 ° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი, 20 ° C ტემპერატურის პირობებში: მინიმალური - 12 საათი. მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში, დაახლ. 12 საათის შემდეგ დასაშვებია ზედაპირზე ფეხით სიარული. დაახლ. 7 დღის შემდეგ მზადაა სრული მექანიკური და ქიმიური დატვირთვებისათვის. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. გამყარების/გამაგრების პერიოდში (დაახლ. 12 საათი - 20 °C ტემპერატურის პირობებში) დაიცავით დატანილი მასალა ტენიანობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ზედაპირი დაზიანდეს და შემცირდეს ადჰეზია.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ გამხსნელით: DisboADD 499 Verdünner-ი.

შენიშვნა: სპილენძთან ან სპილენძის შემცველ წყალთან შეხებისას, შესაძლოა მასალის გამჭირვალე დანაფარი - შეიფეროს.

მითითებები

უსაფრთხო მოხმარების წესები

პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის.

აალებადი სითხე და ორთქლი. შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქციები. შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა და თავბრუსხვევა. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ მასალა სითბოს, ცხელ ზედაპირებს, ნაპერწკლებს, ღია ცეცხლს და აალების სხვა წყაროებს. არ მოწიოთ პროდუქტთან მუშაობისას. არ შეისუნთქოთ მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ორთქლი/აირები. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოიყენეთ მხოლოდ გარე სივრცეებში. არ დაუშვათ მასალის გარემოში გაშვება. ატარეთ დამცავი ხელთათმანები/თვალის დაცვა.
შეიცავს: ალიფატისებური პოლიიზოციანატი, 1,6-ჰექსანდიილ-ბის(2-(2-(1-ეთილპენტილ)-3-ოქსაზოლიდინილ)ეთილ)კარბამატი, 2-მეთოქსი-1-მეთილეთილაცეტატი, 3-იზოციანატომეთილ-3,5,5-ტრიმეთილციკლოჰექსილიციანატი.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 500 გ/ლ. (2010), ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 309 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი

Giscode: PU 50

დამატებითი ინფორმაცია	იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.
ტექნიკური ინფორმაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge